საქართველო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:ღ63.63260972
თარიღი:07/04/2026

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ბიუროს სხდომის**

**ო ქ მ ი N 11**

ქ. სამტრედია. 7 აპრილი, 2026 წელი.

2026 წლის 7 აპრილს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

***სხდომას ესწრებოდნენ:*** ვაჟა სტურუა, გიორგი მეიშვილი, ირაკლი მელაშვილი, ნათია პაპავა, მარიამ ცომაია, გოჩა არველაძე, მერაბ უღრელიძე, ნუგზარ ნუცუბიძე, ჯონი თევზაძე, თენგიზ ცაგურია, პაატა კოხრეიძე.

***ასევე სხდომას ესწრებოდნენ:***

***1.*** საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

***2.*** საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძე.

***3.*** საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

**დღის წესრიგი**

1. 2026 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

2. ქალაქ სამტრედიაში, ბახტაძის ქუჩაზე მდებარე 37271.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო

კოდი №34.08.72.203), ქალაქ სამტრედიაში, ბახტაძის ქუჩაზე მდებარე 20873.00კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.73.348) და ქალაქ სამტრედიაში მდებარე 606.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.60.638) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, დავით ბახტაძის, დროებითი შრომისუუნარობის შესახებ, ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, მ.ცომაია/**

**4. სხვადასხვა**

კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

***დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 3 აპრილის*** N62-622609340 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება 2026 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების საკითხს.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის** ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმები"-ს, პირველი მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ამ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, მიმდინარე წლის 1 მაისამდე სრულად გაუნაწილებლობის შემთხვევაში, დარჩენილი თანხა განაწილდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მოწონებულ იქნეს 2026 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები, (დანართი №1).

**დანართი №1**

**2026 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|

| № | სოფელი | პროექტის დასახელება | საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა (ლარი) | თანადაფინანსება (ლარი) | პროექტის ღირებულება (ლარი) | საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კულაში | სანიაღვრე არხებისა და ბოგირების მოწყობა | 20000 | 0 | 19400 | 600 |
| 2 | ბაში | სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია მეორე ეწერ-ბაშის უბანში | 6000 | 0 | 5820 | 180 |
| 3 | ბაში | საბავშვო ბაღში ერთი ოთახის რეაბილიტაცია | 5000 | 0 | 4850 | 150 |
| 4 | ბაში | გარე განათების მოწყობა პირველ ეწერ-ბაშსა და ქვედა ბაშში | 9000 | 0 | 8730 | 270 |
| 5 | იანეთი | სასაფლაოს შემოღობვა და კეთილმოწყობა | 20000 | 0 | 19400 | 600 |
| 6 | დიდი ჯიხაიში | გარე განათების მოწყობა | 20000 | 0 | 19400 | 600 |
| 7 | ახალსოფელი | სპორტული ტრენაჟორების მოწყობა | 15000 | 0 | 14550 | 450 |
| 8 | ახალსოფელი | სკვერის რეაბილიტაცია | 400 | 0 | 388 | 12 |
| 9 | ახალსოფელი | ბორანთან არსებული სკვერის რეაბილიტაცია | 600 | 0 | 582 | 18 |
| 10 | გვიმრალა | ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია | 4000 | 0 | 3880 | 120 |
| 11 | გვიმრალა | სანიაღვრე არხის მოწყობა | 2800 | 0 | 2716 | 84 |
| 12 | გვიმრალა | სკვერის კეთილმოწყობა | 1000 | 0 | 970 | 30 |
| 13 | გვიმრალა | სკვერში მოსაცდელი | 4200 | 0 | 4074 | 126 |
| 14 | კეჭინარი | სპორტული ტრენაჟორის რეაბილიტაცია | 2000 | 0 | 1940 | 60 |
| 15 | კეჭინარი | არხებისა და ბოგირების რეაბილიტაცია | 10000 | 0 | 9700 | 300 |
| 16 | სოფელი ოჭოფა | არსებული სკვერების კეთილმოწყობა | 4500 | 0 | 4365 | 135 |
| 17 | სოფელი ოჭოფა | ბოგირის რეაბილიტაცია | 2000 | 0 | 1940 | 60 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 18 | სოფელი ოჭოფა | არხის მოწყობა | 3500 | 0 | 3395 | 105 |
| 19 | პატარა ეწერი | არსებული სკვერის კეთილმოწყობა | 10000 | 0 | 9700 | 300 |
| 20 | პატარა ეწერი | სანიაღვრე არხის გაჭრა | 2000 | 0 | 1940 | 60 |
| 21 | ჯიქთუბანი | სკვერის რეაბილიტაცია | 1500 | 0 | 1455 | 45 |
| 22 | ჯიქთუბანი | სასაფლაოს ტერიტორიის კეთილმოწყობა | 1500 | 0 | 1455 | 45 |
| 23 | ჯიქთუბანი | სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია | 9000 | 0 | 8730 | 270 |
| 24 | მელაური | საბავშვო ბაღის ეზოში ფანჩატურისა და ატრაქციონის მოწყობა | 12000 | 0 | 11640 | 360 |
| 25 | მიწაბოგირა | სპორტული მოედნის მოწყობა | 16000 | 0 | 15520 | 480 |
| 26 | ხიბლარი | ორი სკვერის მოწყობა | 12000 | 0 | 11640 | 360 |
| 27 | ხიბლარი | არსებულ ხიდ-ბოგირზე მოაჯირების მოწყობა | 4000 | 0 | 3880 | 120 |
| 28 | ღანირი | გარე განათების მოწყობა | 15000 | 0 | 14550 | 450 |
| 29 | ღანირი | სანიაღვრე არხების მოწყობა | 5000 | 0 | 4850 | 150 |
| 30 | ჭაგანი | სანიაღვრე არხების მოწყობა | 12000 | 0 | 11640 | 360 |
| 31 | ჭაგანი | სპორტული ტრენაჟორების მოწყობა | 4000 | 0 | 3880 | 120 |
| 32 | კვირიკე | სასაფლაოს შემოღობვა | 5000 | 0 | 4850 | 150 |
| 33 | კვირიკე | სკვერის კეთილმოწყობა | 7000 | 0 | 6790 | 210 |
| 34 | ნაბაკევი | სანიაღვრე არხების მოწყობა | 12200 | 0 | 11834 | 366 |
| 35 | ნაბაკევი | ფერხულის არხის გაწმენდა | 2800 | 0 | 2716 | 84 |
| 36 | ნაბაკევი | ე.წ. ჯვარცმის მინდვრის სკვერის კეთილმოწყობა | 1000 | 0 | 970 | 30 |
| 37 | ნინუაკუთხე | სანიაღვრე არხების მოწყობა | 4500 | 0 | 4365 | 135 |
| 38 | ნინუაკუთხე | მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია | 5500 | 0 | 5335 | 165 |
| 39 | ნინუაკუთხე | სკვერის კეთილმოწყობა | 5000 | 0 | 4850 | 150 |
| 40 | ნინუაკუთხე | ე.წ. ჯვარცმის მინდვრის სკვერის კეთილმოწყობა | 1000 | 0 | 970 | 30 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 41 | ჩხენიში | სკვერის მოწყობა მელქაძეების უბანში | 10000 | 0 | 9700 | 300 |
| 42 | ჩხენიში | ჭალის უბანში არსებული გზისპირა მოსაცდელის რეაბილიტაცია | 6000 | 0 | 5820 | 180 |
| 43 | ხუნჯულაური | სანიაღვრე არხების მოწყობა ბეტონის კიუვეტებით | 12000 | 0 | 11640 | 360 |
| 44 | გომმუხაყრუა | ბეტონის კიუვეტებით სანიაღვრე არხის მოწყობა | 11000 | 0 | 10670 | 330 |
| 45 | გომმუხაყრუა | ყუმურის დამშრობ არხზე არსებულ ხიდზე არმირებული ბეტონის საფარის დაგება (ერთობლივი) | 1000 | 0 | 970 | 30 |
| 46 | გომნატეხები | ბეტონის კიუვეტებით სანიაღვრე არხის მოწყობა | 9500 | 0 | 9215 | 285 |
| 47 | გომნატეხები | გარე განათების მოწყობა | 1500 | 0 | 1455 | 45 |
| 48 | გომნატეხები | ყუმურის დამშრობ არხზე არსებულ ხიდზე არმირებული ბეტონის საფარის დაგება (ერთობლივი) | 1000 | 0 | 970 | 30 |
| 49 | დაბლა გომი | ბეტონის კიუვეტებით სანიაღვრე არხის მოწყობა | 10000 | 0 | 9700 | 300 |
| 50 | დაბლა გომი | ბეტონის კიუვეტებით სანიაღვრე არხის მოწყობა | 6000 | 0 | 5820 | 180 |
| 51 | დაბლა ეწერი | ბეტონის კიუვეტებით სანიაღვრე არხის მოწყობა | 9000 | 0 | 8730 | 270 |
| 52 | დაბლა ეწერი | ყუმურის დამშრობ არხზე არსებულ ხიდზე არმირებული ბეტონის საფარის დაგება (ერთობლივი) | 1000 | 0 | 970 | 30 |
| 53 | დაფნარი | ბეტონის კიუვეტებით სანიაღვრე არხის მოწყობა | 13500 | 0 | 13095 | 405 |
| 54 | დაფნარი | გარე განათების მოწყობა | 2500 | 0 | 2425 | 75 |
| 55 | დობირო | დობირო პირველში გზის მოხრეშვა-დატკეპნვა | 6800 | 0 | 6596 | 204 |
| 56 | დობირო | ბეტონის კიუვეტებით სანიაღვრე არხის მოწყობა | 2200 | 0 | 2134 | 66 |
| | | ყუმურის დამშრობ არხზე არსებულ | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 57 | დობირო | ხიდზე არმირებული ბეტონის საფარის დაგება (ერთობლივი) | 1000 | 0 | 970 | 30 |
| 58 | ზედა ეწერი | ბეტონის კიუვეტებით სანიაღვრე არხის მოწყობა | 11000 | 0 | 10670 | 330 |
| 59 | ზედა ეწერი | ყუმურის დამშრობ არხზე არსებულ ხიდზე არმირებული ბეტონის საფარის დაგება (ერთობლივი) | 1000 | 0 | 970 | 30 |
| 60 | კეთილაური | გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხებისა და ცხაურების მოწყობა | 10000 | 0 | 9700 | 300 |
| 61 | კორმაღალი | გარე განათება | 4500 | 0 | 4365 | 135 |
| 62 | კორმაღალი | კოკოშელას უბანში ბეტონის კიუვეტებისა და ცხაურების მოწყობა | 6500 | 0 | 6305 | 195 |
| 63 | კორმაღალი | ყუმურის დამშრობ არხზე არსებულ ხიდზე არმირებული ბეტონის საფარის დაგება (ერთობლივი) | 1000 | 0 | 970 | 30 |
| 64 | სოფელი მთისძირი | სპორტული ტრენაჟორების მოწყობა | 16000 | 0 | 15520 | 480 |
| 65 | ცივწყალა | გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხებისა და ცხაურების მოწყობა | 4800 | 0 | 4656 | 144 |
| 66 | ცივწყალა | გარე განათების მოწყობა | 4200 | 0 | 4074 | 126 |
| 67 | ცივწყალა | ყუმურის დამშრობ არხზე არსებულ ხიდზე არმირებული ბეტონის საფარის დაგება (ერთობლივი) | 1000 | 0 | 970 | 30 |
| 68 | პირველი ნიგორზღვა | სკვერის კეთილმოწყობა | 12000 | 0 | 11640 | 360 |
| 69 | მეორე ნიგორზღვა | გზის მოხრეშვა | 10000 | 0 | 9700 | 300 |
| 70 | საჯავახო | საბავშვო სკვერის მოწყობა | 16000 | 0 | 15520 | 480 |
| 71 | ჭოგნარი | სკვერის მოწყობა | 12000 | 0 | 11640 | 360 |
| 72 | ბუღნარა | ხიდის რეაბილიტაცია | 7000 | 0 | 6790 | 210 |
| 73 | ბუღნარა | გარე განათების მოწყობა | 5000 | 0 | 4850 | 150 |
| 74 | ვაზისუბანი | ქორეისუბნის სასაფლაოს შემოღობვა | 25500 | 0 | 24735 | 765 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | კეთილმოწყობა (ერთობლივი) | | | | |
| 75 | ზემო ნოღა | გზების მოხრეშვა | 12000 | 0 | 11640 | 360 |
| 76 | ქვემო ნოღა | პირველი ქუჩის I ჩიხში ბეტონის გზის მოწყობა | 12000 | 0 | 11640 | 360 |
| 77 | ტოლები | სასაფლაოს შემოღობვა | 10000 | 0 | 9700 | 300 |
| 78 | ზემო ტოლები | გზების მოხრეშვა | 10000 | 0 | 9700 | 300 |
| 79 | ქორეისუბანი | ქორეისუბნის სასაფლაოს შემოღობვა კეთილმოწყობა (ერთობლივი) | 500 | 0 | 485 | 15 |
| 80 | დიდი ოფეთი | გარე განათება | 9500 | 0 | 9215 | 285 |
| 81 | დიდი ოფეთი | სანიშნე აბრების მოწყობა | 500 | 0 | 485 | 15 |
| 82 | პატარა ოფეთი | გარე განათება | 9500 | 0 | 9215 | 285 |
| 83 | პატარა ოფეთი | სანიშნე აბრების მოწყობა | 500 | 0 | 485 | 15 |
| 84 | ნაწილი ოფეთი | სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია | 9500 | 0 | 9215 | 285 |
| 85 | ნაწილი ოფეთი | სანიშნე აბრის მოწყობა | 500 | 0 | 485 | 15 |
| 86 | მტერჩვეული | გარე განათება | 9500 | 0 | 9215 | 285 |
| 87 | მტერჩვეული | სანიშნე აბრის მოწყობა | 500 | 0 | 485 | 15 |
| 88 | წიაღუბანი | კაცაძეების უბანში 4 მ-იანი ბოგირის მოწყობა 1 მეტრიანი ზომის | 5000 | 0 | 4850 | 150 |
| 89 | წიაღუბანი | გეოგრაფიული ობიექტის მანიშნებელი აბრების მოწყობა | 500 | 0 | 485 | 15 |
| 90 | წიაღუბანი | გეოგრაფიული ობიექტის მანიშნებელი აბრების მოწყობა | 2500 | 0 | 2425 | 75 |
| 91 | წიაღუბანი | არსებული მოსაცდელის რეაბილიტაცია | 2000 | 0 | 1940 | 60 |
| 92 | თხილაგანი | გზის მოხრეშვა | 10000 | 0 | 9700 | 300 |
| 93 | გორმაღალი | ქვაყუდის სასაფლაოს შემოღობვა | 12500 | 0 | 12125 | 375 |
| 94 | გორმაღალი | გორმაღლის სასაფლაოს შემოღობვა | 3500 | 0 | 3395 | 105 |
| 95 | გამოჩინებუ | შიდა სასოფლო | 7000 | 0 | 6790 | 210 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ლი | გზების რეაბილიტაცია | | | | |
| 96 | გამოჩინებული | სანიშნე აბრების მოწყობა | 3000 | 0 | 2910 | 90 |
| | | | **660 000** | **0** | **640 200** | **19 800** |

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

***დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 31 მარტის*** N62-622609073 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, ქალაქ სამტრედიაში, ბახტაძის ქუჩაზე მდებარე 37271.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.72.203), ქალაქ სამტრედიაში, ბახტაძის ქუჩაზე მდებარე 20873.00კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.73.348) და ქალაქ სამტრედიაში მდებარე 606.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.60.638) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს:

**ა)** ქალაქ სამტრედიაში, ბახტაძის ქუჩაზე მდებარე 37271.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.72.203);

**ბ)** ქალაქ სამტრედიაში, ბახტაძის ქუჩაზე მდებარე 20873.00კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.73.348);

**გ)** ქალაქ სამტრედიაში მდებარე 606.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.60.638).

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

***დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მარიამ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 6 აპრილის*** N62-6226096105 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 06 აპრილიდან 2026 წლის 12 აპრილის ჩათვლით დროებითი შრომისუუნარობის შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჯარო სამსახურის შესახებ", საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური თანამდებობის პირზე - მუნიციპალიტეტის მერზე ასევე ვრცელდება ამ კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“–„თ“ ქვეპუნქტებისა და მე-3

და მე-4 პუნქტების მოქმედება, თუ სპეციალური კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. ,,საჯარო სამსახურის შესახებ", საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ’’-ქვეპუნქტის თანახმად, მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილება ჩერდება მოხელის დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც დასტურდება შესაბამისი სამედიცინო ფურცლის საფუძველზე, ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად, მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ, გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის’’ 56-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე’’-ქვეპუნქტის თანახმად, მერის უფლებამოსილების შეჩერების საფუძველია, დროებითი შრომისუუნარობა, მე-3 პუნქტის თანახმად, მერის უფლებამოსილების შეჩერების ვადა განისაზღვრება დროებითი შრომისუუნარობის ვადით, ხოლო მე-4 პუნქტის თანხმად, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული ფაქტების შესახებ, ინფორმაციას, გარდა მე-2 პუნქტის „ზ“–„ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მუნიციპალიტეტის საკრებულო ცნობად იღებს და აფორმებს საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით. მერს უფლებამოსილება უჩერდება შესაბამისი ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან. აღნიშნულის შესახებ, წარმოდგენილია ინდივიდუალუ-სამართლებრივი აქტი, ბრძანება, რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, დავით ბახტაძის, დროებითი შრომისუუნარობის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 06 აპრილიდან 2026 წლის 12 აპრილის ჩათვლით.

- აღნიშნულის შესახებ ეცნობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

- 2026 წლის 06 აპრილიდან 2026 წლის 12 აპრილის ჩათვლით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის დავით ბახტაძის დროებითი შრომისუუნარობის გამო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შესრულება დაეკისროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ამირანი თევდორაძეს.

საკითხი განიხილა საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ.

***დაადგინეს:*** ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, დავით ბახტაძის, დროებითი შრომისუუნარობის შესახებ, მიღებულია ცნობად. კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი**

1. 2026 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

2. ქალაქ სამტრედიაში, ბახტაძის ქუჩაზე მდებარე 37271.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.72.203), ქალაქ სამტრედიაში, ბახტაძის ქუჩაზე მდებარე 20873.00კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის

(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.73.348) და ქალაქ სამტრედიაში მდებარე 606.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.60.638) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, დავით ბახტაძის, დროებითი შრომისუუნარობის შესახებ, ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/**

**4. სხვადასხვა**

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომა გაიმართება 2026 წლის 8 აპრილს, 11$^{00}$ საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

***სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.***

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი